# სახალხო გაზეთი

№ 753 კვირა, 18 ნოემბერი 1912 წ. № 753

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირებს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



პაპიროსები „გალლეია“ და „კომეტა“

25 ც.—15 კ. 10 ც.—6 კ. ქ. ტფილისი. 1574


## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**


**სახალხო გაზეთი** სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.
გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.
რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**
დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


**ტფილისის ქართული გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო** მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი გიმნაზიის ყოფილის მასწავლებლის და საზოგადო მოღვაწის

**არისტო ვასილის ძის ქუთათელაძის**

სულის მოსახსენებლად. განსვენებულს დაკრძალვენ დღეს **დაბა ხონში.** 1599

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო** აცხადებს, რომ დღეს, 18 გიორგობისთვეს, დილის 12 საათზე, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის საზოგადოების წევრის და მოღვაწის

**არისტო ვასილის ძის ქუთათელაძის**

სულის მოსახსენებლად. 808

**ფოთის ქალაქის გამგეობა** აუწყებს ქალაქის საბჭოს ხმოსნებსა და ქალაქის მკვიდრთ, რომ 17 ნოემბერს, დილით გარდაიცვალა **ქალაქის გამგეობის წევრი,**

**ლუარსაბ მიხეილის ძე ყრუაშვილი.**

განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი დანიშნულია ქალაქის დარბაზში, 19 ნოემბერს, დილის 10 საათზე. 160

**ფოთის ქალაქის გამგეობის მოსამსახურე პირნი,** ულრმესის მწუხარებით აუწყებენ, რომ 17 ნოემბერს, დილით, გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი თანამოსამსახურე ფოთის ქალაქის გამგეობაში,

**ლუარსაბ მიხეილის ძე ყრუაშვილი.**

განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი დანიშნულია ფოთის საკათედრო ტაძარში კვირას, 18 ნოემბერს, წირვის შემდეგ. 1605

→ **გამოსულია და იყიდება** ←
**ნ. შიუკაშვილის**
**პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.
**კვირას, 18 ნოემბერს, 1912 წ.**
ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ მეორედ წარმოდგენილი იქნება:
**ახალი ორგინალური პიესა ნ. შიუკაშვილის**

I

## მთის ზღაპარი

დრამა 3 მოქმედებად.
**განსაკუთრებით ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარ გ. ნადიბაძის მიერ.**

II

## დარისპანის გასაჭირი

მხიარული ვოდევილი 1 მოქმ. დ. კლდიაშვილისა.
მონაწილეობენ: ქ-ნნი: გოგოლაშვილი, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქუთიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.
**დასაწყისი სალ 8 საათზე.** ადგილ. ფასი ჩვეულებრივია.
**ანონსი:** შაბათს, 24 ნოემბერს, **ბენეფისი ქ-ნ ნ. ჯავახიშვილისა.**
578 რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი. ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

**ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი.**
სამშაბათს, 20 ნოემბერს, დანიშნულია ტფილისში პირველად
**სალიტერატურო დისკუტი**

## ქალთა საკითხზე.

**მონაწილეობას მიიღებენ:**
**ი. ფ. პალმოვი:** ქალთა ცხოვრებიდან (მცირეოდენი ისტორიული პარალელი) დასაწყისი შესავალი. **ექ. ე მელიქ-შახნაზაროვისა:** ეკონომიური საფუძველი ქალთა მოძრაობისა. **ნ. დ. ზელენსკი:** მამაკაცი და ქალთა საკითხი. **ს. ს. დემ[...]კაიასი:** ქალი უწინ და ეხლა. **ნ. ე. ერმოლაევი:** აზრთა განსხვავება რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მწერლობაში ქალთა საკითხზე. **კ. ა. კოზლოვი:** ქალი—მსხვერპლია, ქალი—წამებულია.
**ბოლოს გაიმართება კამათი.**
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. თავმჯდომარეობს **ი. ფ. პალმოვი.**
ფასები 20 კ. 1 მ. 60 კ. დაწვრილებით პროგრამებში
ბილეთები იყიდება ზუბალაშვილის სახალხო სახლის კასაში ყოველ დღე.
**ადმინისტრატორი თ. დოლიძე.**

**ავლაბრის ქართ. სახალხო თეატრი** (მურაშკოსეული, თელავის ქუჩა).
კვირას, 18 ნოემბერს, წრესთან არსებულ სცენის მოყვარეთა მიერ **რეჟისორის და მსახიობის ი. ივანიძის საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქნება:

## სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქმ. დ. ერისთავისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ადგილების ფასი მომატებულია.
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
რეჟისორი **ი. ივანიძე.** მორიგი წევრი **ნ. ივანაშვილი.**
კვირას, 25 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება „ყაჩაღები“ 1484


ქარხნის მარკა
**კონიაკი და ლიქორი ს. ს. შამრიარსკისა**
ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570


## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**
**ტელეფონი № 590.**
**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი** [...] (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე $11^1/_2$—$12^1/_2$)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და საბავშვო სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თიკანაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^1/_2$ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. ვ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$<br>**თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **ნაწლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა ცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით. წ. 1010.

**ქ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი**
**კვირას, 18 ნოემბერს,**
ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ წარმოდგ. იქნება

## სოფლის გმირები,
4 მოქ. დრამა გადმოკ. ა. ირეთელის მიერ.

2. **მათიკო,** კომ. ა ცაგარლისა, მხოლოდ მესამე მოქმედ.
მონაწილეობას მიიღებს მთელი „წრის“ დასი.
**26 ნოემბ. ნ. გოცირიძის ბენეფისი.** ადგ. ფასი 5 50 კ. **დასაწყ. საღ. 8 ს.**
რეჟისორი **ალ. წუწუნავა,** „წრის“ ადმინისტ. 1499


**შეიძლება დაკვეთა:**

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და **წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.**
**თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**
**ბათუმში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან**

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153


**ქართვ. ქალთა საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის წლიური საზოგ. კრება** დანიშნულია ქართ. სამეურნეო ბანკის დარბაზში **ოთხშაბ., 21 ნოემბერს,** დილის 12 ს. განსახილველია: საზოგადოების მოხსენება, წარსულ დროის ხარჯთ-აღრიცხვა და მისი დამტკიცება, დამტკიცება მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვისა, გამგეობის მართველობის წევრების არჩევა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. საზოგადოების წევრებად შესვლის მსურველთა დამტკიცება. 809




1553

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები.**

| | |
|---|---|
| ფიზიოლოგიური ლექცია არეშიძისა | 20 კ. |
| ტვინი და სული. გომართელისა | 5 „ |
| ბუნება და ადამიანი დრეპერისა | 5 „ |
| ცა და დედა-მიწა ივანოვისა | 20 „ |
| მწვანე სამეფო ლუნკევიჩისა | 20 „ |
| ჭიანჭველების ცხოვრება მისივე | 15 „ |
| ფიზიკა. ჰაერი და მისი თვისებანი, ალ. მირიანაშვილისა | 15 „ |
| ბუნების ცოდნა. პოლბერისა | 25 „ |
| მეხის ამბავი ქივატოვსკისა | 15 „ |
| ჰაერი და სითბო მისივე | 15 „ |
| როგორ საზრდოობს მცენარე | 25 „ |
| ქიმია. როსკოსი | 30 „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი | 50 „ |
| კოპერნიკიდან დარვინამდე | 10 „ |
| მიკროსკოპიულნი ორგანიზმნი | 20 „ |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა | 60 „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა | 2 მან. |
| იგივე ნაწ. II „ქართლი“ ვახუშტისა | 25 კ. |
| კალმასობა იოანე ბატონიშვილისა | 1 მან. |
| მოგზაურობა წმ. ქალ. იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ კონჯუაშვილისა | 1 მან. |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

# მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

## ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

# „ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე.

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ო რ ი   გ ა მ ო ც ე მ ა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს.

ხელის მოწერა მიიღება „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტ. 8, და აგენტებთან. 1591

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა,** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხ.). **ტელეფ.** 7—92. 777

---

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიღუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ...ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

---

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა
— გასასყიდად —

**გ. აზოვპირელის**
ლ ე ქ ს ე ბ ი:
**„ჩემი ნანინა“.**
წიგნაკი მეორე. ფასი 10 კ.

---

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. 1½ ს.

**ახვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

**ბოგუსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ. შაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხშ და პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1—2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს**

**საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. აკად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

---

**ელექტრონისა და რენტგენის**
**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**
**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება** რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ № 20. წ. 1022

---

**სამტრედიაში**

**ექიმი** ე. ქ. აბულაძე ჩამოვიდა და იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე. აგრეთვე **სწამლობს 606-ით.** 1576

---

**ექიმი** პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

---

**ვაგზლის კერძო**
**სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ.ბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ნ. მ. მელიქიშვილი** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“**-ით. 1018

---

**ექიმი** ი. ქ. ა ბ ა კ ე ლ ი ა იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

---

**ექიმი** ქ ა ლ ი **დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

---

**ექიმი** ი. ე. ჯ ა შ ი **განაგრძობს** ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ბლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 1107. 791

---

**ექიმი** ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

---

**ექიმი** ი. ი. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდა პირ. 1530

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

---

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

---

**ექიმი** ალ. **ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334


---

# ნარკვევი

უბედურ კაცს ქვა ალმართში მოეწევაო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი. იმედ გაცრუებული გუჩკოვი, როცა სადეპუტატო სავარძელი ასე უწყალოდ გამოაცალეს ქვეშიდან, ბალკანეთში გაემგზავრა. და აი მის [illegible]

„11 ნოემბერს გამოირკვა შედეგი ანკეტისა, რომელიც ლიტეინის ნაწილში მოხდა, იმისდა გამოსარკვევად თუ რომელი კანდიდატია უფრო სასურველიო. სიაში მოხსენებული იყო 20 კანდიდატი. ამომრჩევლებს უნდა დაესახელებინათ 8 კანდიდატი. ამ ოც კანდიდატში გუჩკოვიც ერია, რომლის სასარგებლოდ ოქტომბრისტები ენერგიულ აგიტაციას ეწეოდნენ. ოქტომბრისტების ფრაქციის მდივანი ნიკოანოროვი, სპეციალად იყო გაგზავნილი, რათა თვალყური ედევნოს ანკეტის წეს-რიგსო. ანკეტას გუჩკოვის მეგობრებისთვი სრულიად მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: ამომრჩეველი იყო 1115; ამათში მ. კოვალევსკის მისცა ხმა 823,—პოტეხინს — 760, ობოლენსკის 748, ნიქეგოროდცევს—742, პერევოსკოვო—პეტროვო-სოლოვიოვს 736, ზემაცკის—734, მენდელსონს—728, კოლომნინს—640 და სტახოვიჩს—480.

გუჩკოვი-ღა? იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. გუჩკოვმა მიიღო 313 ხმა, იგი რვა კანდიდატშიაც არ მოჰყვა. მაგრამ გუჩკოვის ცხოვრების ტრაგედიას აქ არ ესმის წერტილი. ბარათების დათვლა უნდა გათავებულიყო სალამოთი 10 ნოემბერს, მაგრამ ოქტომბრისტების თხოვნით გადასდეს 11 ნოემბრამდის, რათა ჩაეთვალათ ის ბარათებიც, 11 ნოემბერს დილით ფოსტით რომ მოვა. მართლაც, დილით 306 ბარათი მოვიდა, სულ გუჩკოვის სახელით. მაგრამ როგორც გამოირკვა, ეს ბარათები ყალბი გამოდგა და შესაფერი ოქმიც არის შედგენილი“.

უბედურება უბედურებაზე! საბრალო გუჩკოვი!

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სასულიერო უწყებაში.** უწმ. სინოდის განკარგულებით არმაზის დიდებულს ტაძარს 35 დესეტინა სახაზინო მიწა მიეცა.

— ივერიის დედათა ძველ ტაძრის (სოფ. ხუჯაფში, ბორჩალოს მაზრა) შესაკეთებლად უწმ. სინოდმა ორასი თუმანი გადასდო.

— სანთლის ქარხნის 1911 წლის ანგარიში საქართველოს ექსარხოსმა დაამტკიცა. ამ ანგარიშიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ 1912 წ. 1 იანვარს ქარხნის მთელი ქონება 204,019 მან. 84 კ. უდრიდა.

— საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის კრება ამ დღეებში მოხდა გორის ეპისკოპოს ანტონის თავჯდომარეობით. კრებამ მოისმინა მოხსენება კომიტეტის წევრის ს. გორგაძისა. მომხსენებელი საჭიროდ სთვლიდა, რომ გამოიცეს ნემეზის ფილოსოფია, რომელიც ქართულად პატრიწიმ სთარგმნა. ამ კრებაზე გადასწყდა, დაიბეჭდოს ტექსტი იმ საეკლესიო საგალობლებისა, რომელიც დღემდე გამოცემული არ არის.

✦ **შუამთის მონასტრის წინამძღოლად.** უწმ. სინოდმა მოწამეთის მონასტრის წინამძღოლი არქიმანდრიტი ნესტორი დანიშნა.

✦ **თავად-აზნაურთა შორის.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო, 23 დეკემბერს ტფილისში მოიწვიონ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრებამ უნდა აირჩიოს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, დუშეთის მაზრის წინამძღოლი და გორის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტატი.

✦ **ხოლერის მოლოდინში.** ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა განკარგულება მოახდინა, რათა ღონისძიებანი მიიღონ სტამბოლიდან ბათომით ტფილისში ხოლერის შემოტანის წინააღმდეგ.

✦ **ჟურნალისტი ლევან ყიფიანი,** რომელიც ორის კვირის წინად დააპატიმრეს ტფ. სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილებით, 16 ნოემბერს გაანთავისუფლეს სამხედრო ჰაუპტვახტიდან.

✦ **ქალაქის შრომის ბირჟაში** ამ ჟამად დიდძალი უმუშევარი ხალხი ეწერება. ამ წლის დასაწყისიდან დღემდე 3,200 უმუშევარი ჩაწერილა, ხოლო 2500 მუშა ხელის მაძებარი უმუშევართ ბირჟა არაფერს ართმევს, ხოლო მუშა ხელის მაძებართ 20 კ. ახდევინებს.

✦ **სტიპენდია.** განთავისუფლდა საქალაქო სტიპენდია ამიროვის სახელობისა. სტიპენდია მიეცემა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს, მხოლოდ ტფილისელი უნდა იყოს. თხოვნები მიიღება 1 დეკემბრამდე ქალაქის გამგეობის სასკოლო განყოფილებაში.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისია** (15 კაცი) როგორც ვწერდით, თანამდებობიდან გადადგა. კომისიის ახალ წევრთა არჩევნები ორშაბათს, 19 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

✦ **ქართულ სათ. აზნ. გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს გამგეობა** უღრმეს მადლობას უცხადებს სოფიო სტეფანეს ასულს გიორგობიანს, რომელმაც ზემო აღნიშნულ სასადილოს სასარგებლოდ შემოსწირა 100 მ.

✦ დღეს 12 ს. ზუბალაშვილის სახლში შესდგება მესამე ლექცია რუსულ ლიტერატურის ისტორიიდან—ნ. ა. დობროლიობოვი—მისი პიროვნება და ლიტერატურული მოღვაწეობა“ ლექციას წაიკითხავს ი. ფ.პალმოვი. ლექციის შემდეგ გაიმართება კონცერტი.

✦ **არქიმანდრიტი ნაზარი,** საქართველოს ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინი, ქვაბთახევის მონასტრის დასათვალიერებლად გაემგზავრა.

✦ **მედავითნეთა კურსებზე,** დარიის მონასტერში ქართულ გალობისა და მუსიკის მასწავლებლად მიიწვიეს ნ. პ. სულხანიშვილი.

✦ დღეს, შუადღის 12 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია **პანაშვიდი განსვენებულ არისტო ქუთათელაძის სულის მოსახსენებლად.** პანაშვიდი დანიშნულია ქართულ საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ქართულ გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს თაოსნობით რომლის წარმომადგენლადაც პანაშვიდზე იქნებიან მასწავლებლები დავით ქადაგიძე და დავ. პარკაძე.

✦ ჩვენს ახალგაზრდა მგოსანს **ალ. შანშიაშვილს** დაუწერია ახალი პოემა „სამი ძმა“. საგულისხმოა რომ ეს პოემა აგებულია ხალხურ ზღაპარზე.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** წევრთა წლიური კრება დღეს, დილის 10 საათზე მოხდება სახალხო სახლში. კრებამ, სხვათა შორის, თანამდებობის პირნი უნდა აირჩიოს,

✦ **ქალაქის საბჭოს კრებას,** რომელიც 19 ნოემბრისთვის არის დანიშნული, 17 საქმე აქვს განსახილველი.

✦ **ხარფუხის კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების** კრება დღეს მოხდება.

✦ **ფარმაცევტთა საზოგადოების** კრება 16 ნოემბერს მოხდა. კრებამ დაადგინა, მიიღოს მონაწილეობა ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრებაში. სხვათა შორის, კრებაზე კავკასიის სამკურნალო ბალახების გამოფენას გამართავს.

## გ ო რ ი

✦ 11 ნოემბერს გორში **მიწა იძრა** დილით ექვსის ნახევარზე. მერე 14 ნოემბერსაც იძრა მიწა დილითვე რვის ნახევარზე. უკანასკნელი უფრო ძლიერი იყო.

## სოფლად

✦ 9 გიორგობისთვეს, საღამოხანზე **სოფ. იკოთში** (დუშეთის მაზრა) **მღ. გაბრიელ იმნაძეს** მიუცვივდნენ უცნობნი დააწიოკეს სახლში მყოფნი ქალები და წაიღეს, რაც იპოებოდა: ოქრო, ვერცხლი და მათთან ერთად მღვდლის სანაწილე, ღირებული ათ თუმნამდე.

# დეპეშა

## პეტერბურგი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

თავმჯდომარედ არჩეულ როძიანკოს საკონსტიტუციო სიტყვას მთელი ოპოზიცია ტაშის კვრით შეჰხვდა. ქუთაისის გუბერნიის დეპუტატი ვარლამ გელოვანი შრომის ჯგუფში ჩაეწერა, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებმა თავისიბურ ჩვეულებრივ ხრიკებს მიჰმართეს. შრომის ჯგუფმა გელოვანი . ფრაქციის ბიუროს წევრად აირჩია.

# არისტო ქუთათელაძის ხსოვნას.

ძვირფასო არისტო!

შენი სიკვდილი ჩვენთვის, შენის ამხანაგებისთვის, სრულიად მოულოდნელი არ ყოფილა. ჩვენ ამ უკანასკნელი ორი სამი თვის განმავლობაში დღითი დღე მოველოდით ამ სამწუხარო ამბის გაგებას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ხანგრძლივმა თავდადებულმა გონებრივმა შრომამ შეასუსტა შენი მუდამ მგრძნობიარე გულის მოძრაობა, დააუძლურა შენი მუდამ მკვირცხლი და მოძრავი აგებულობა და ბოლოს ლოგინადაც ჩაგაგდო. ჩვენო ძვირფასო ამხანაგო! შენ უკვე პირი მოვალეობა და დღეს უკანასკნელ „მშვიდობით“ გეუბნებით.

სამწუხარო და აუტანელია ჩვენთვის სიტყვების თქმა, რადგანაც შენი დაუღალავი შრომა, შენი ცოდნა და გამოცდილება, შენი იშვიათი ენერგია და გამჭრიახობა ბევრად ჯერ კიდევ ხელს შეუწყობდა შენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს.

შენი დაკარგვა, შენი საზოგადო ასპარეზიდან ჩამოშორება მთელი ქართველობისათვის დიდი დანაკლისია, მაგრამ ამ დანაკლისის სიმწარეს ერთი ორად განიცდიან შენი ამხანაგები, რომელთა თვალთ წინ გაიარა შენმა უანგარო, თავდადებულმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ.

დიახ, ქართული გიმნაზიის მასწავლებლებისათვის, ამ შენის მეგობრებისა და ამხანაგებისათვის, მუდამ სამწუხარო და საგონებელი იქნება შენი ესეთ დროს დაკარგვა.

ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ეროვნული თვითცნობიერების განმტკიცება ჩვენ მოზარდ ახალთაობაში საუკეთესო იარაღია ჩვენი მომავლის კეთილ-საყოფლად. შენ ეს ჭეშმარიტება ღრმად გქონდა გულში ჩაბეჭდილი, შენ ამ ჭეშმარიტებას გულში ხატად და ჯვარად ატარებდი და კიდევაც ამიტომ ასე თავდადებულად მოღვაწეობდი მოზარდი თაობის კეთილ გზაზედ წასამართავად. შენ მთელი ოცი წლის განმავლობაში მუდამ მოსიყვარულე და მგრძნობიარე მასწავლებელ-აღმზრდელის სახით მოსწავლე ახალგაზრდობაში დასტრიალებდი და სიტყვით, საქმით, მამობრივის დარიგებით ყველგან და ყველას ამცნებდი, რომ ეროვნულ განვითარების გარეშე ყოველგვარი საზოგადო განვითარება შეუძლებელი და თან მოუხერხებელია. მოსწავლე ახალგაზრდობას სწამდა ეს ნათლად შესრულე შენი ქვეყნიური შენი სიტყვები, იგი თანდათანობით ითვისებდა ამ ჭეშმარიტებას და კიდევაც ამ ნიადაგზედ იწვრთნებოდა. მოსწავლე ახალგაზრდობამ სიღრმე სიგანით შეიგნო და შეისისხლხორცა შენი მამობრივი სიტყვების, შენი უტყუარი მოძღვრების დიადი მნიშვნელობა და კიდევაც ამიტომ განუსაზღვრელი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურე.

მასწავლებლისათვის საუკეთესო ჯილდო მოსწავლე ახალგაზრდობის თანაგრძნობა და სიყვარულია. ეს თანაგრძნობა და სიყვარული, ჩემო ძვირფასო ამხანაგო, შენ სავსებით და ღირსეულად დაიმსახურე.

შენი ნამოწაფარნი ამ ჟამად, ზოგი უკვე კურს დამთავრებელი საზოგადო მოღვაწეობას ეწევა, ზოგი კი ჯერ კიდევ საშუალო ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს და ვფიქრობთ და კიდევაც ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მათ შორის არ მოიძებნება არც ერთი, რომელიც შენი სახელის ხსოვნას განუსაზღვრელი სიყვარულითა და პატივისცემით არ იხსენიებდეს. ეს სიყვარული და პატივისცემა, ჩემო ძვირფასო არისტო, ერთი ორად გაიზდება, როცა შენი ყოფილი მოწაფეები სამშობლო ქვეყანაში დაბრუნდებიან და შენის მოძღვრების თანახმად საზოგადო მოღვაწეობის ფერხულში ჩაებმიან.

დიახ, ეს შენდამი სიყვარული და პატივისცემა მაშინ ერთი ორად განმტკიცდება და ჭეშმარიტად ეს იქნება შენთვის საუკეთესო ძეგლი, რომელიც შენ შენის ხანგრძლივი ნაყოფიერის შრომით ღირსეულად დაიმსახურე.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენი ერის უანგარო მოჭირნახულევ, ჩვენო ძვირფასო არისტო!

ა. მიქაბერიძე.

# ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე.

15 გიორგობისთვეს საზოგადოების საბჭოს კრება მოხდა, რომელზედაც დაესწრო საზოგადოების აგრონომები. კრება 9 საათზე გახსნა თავმჯდომარემ **თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა,** რომელმაც კრებას განუმარტა, რომ ინსტრუქტორების მომავალი წლის მოქმედების გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შემოქმედებას 3—4 კრება დასჭირდება, ამიტომ ჯერ საფილოქსერო კომისიის მოხსენება განვიხილოთო. კომისიაში შედიოდნენ ბ-ნი ხუნდაძე და გ. ს. ნახუცრიშვილი. **ბ-ნმა ს. თ. ხუნდაძემ** კომისიის მოსაზრებანი მოახსენა. მოახლოვდა დრო, როდესაც ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის მუშაობა უნდა დაწესებული იქნას. უნდა აირჩიონ ადგილი სადაც ცენტრალური დაწესებულებები მოეწყობა, [illegible] სახლს მიაწოდოს ცნობები და [illegible] მასალები. საჭიროა 30 დესეტინა მამული. ეს მამული ასე დაიყოფა: 5 დესეტინა მწარე ვაზის გასაშენებლად, რომელსაც კახეთში დიდი მოთხოვნილება ექნება; 2 დესეტინა —ნამყენი ვაზის სანერგისათვის (დედა ვაზი) თითო დესეტინაზე დაირგება 25000 ძირი, დესეტინა—საცდელი ვენახისათვის, ეტევა 5000 ძირი, ესევე იქნება; 3 დესეტინა სამრეწველო ვენახისათვის, რომელიც შეძლებას მისცემს საზოგადოებას თვალყური ადევნონ ხილის დამწიფებას, მომავალის ხარისხს, რამდენ ხანში რა ღვინო დგება და სხვა; 8 10 დესეტინა—ხილის ბაღისათვის, იმ მიზნით რომ გამოკვლეულ იქნას რა ჯიშის ხილი სჯობია, რომელს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს; ამავე ბინაზე შეიძლება სხვა მოსავლის მოყვანაც;6 დესეტინა—ხეხილის სანერგე; ერთ დესეტინაზე 20000 უჯიშო ეტევა; 2 დესეტინა—სხვა და სხვა საკვებ ბალახის დასათესად და საზოგადოდ საცდელ მინდვრისათვის; 2 დესეტინა—სამოსახლო ადგილისათვის, სადაც სხვა და სხვა შენობა იქნება აშენებული; ბინა, ბოსელი, ბეღელი, და სხვა, აქვე გაშენდება ყვავილების ბაღი. ასეთი მეურნეობის მოწყობა ბოლო მიზანია; ეხლა კი, როდესაც ვიცით, რომ საზოგადოება ქონებრივად არ არის ძლიერი და დეპარტამენტმა ჯერ 2000 მან. შემწეობა გამოუგზავნა, შესაძლოა პირველ დაწყებითი მუშაობა, ამიტომ საზოგადოება ეხლავე უნდა შეუდგეს: უნდა შეუდგეს შემდეგს: უნდა შემოღობოს 1 დესეტინა მიწა, რაც 200 მანეთი დაჯდება. 800 ოთხკ. საჟენი უნდა გადააბრუნონ. საჟ. მიწის „პლანტაჟი“ ჯდება თითო აბაზი, სულ „პლანტაჟი“ ეღირება 160 მანეთი; ამ მიწაზე დაეტევა სკოლა და ნამყენი; 30,000 მწარე ვაზი ეღირება 120 მანეთი; დარგვა ნამყენებისა 30 მან. მწარე ვაზის ნერგის შეძენა 150 მანეთი. საჭიროა მეთვალყურედ აგრეთვე ერთი შეგნებული მუშა, რომელსაც თვეში ჯამაგირად 20 მანეთი უნდა დაენიშნოს, ოთახის დადგმა 150 მანეთი. ასე რომ სულ ეს გამოიწვევს 1100 მანეთის ხარჯს. მაგრამ ეს ხარჯი შეძლეგ წლებსაც ეკუთვნის. აქედან საზოგადოებას დარჩება: შემუშავებული მიწა, სახლი და ნამყენი ვაზი 10,000, რომელიც უეჭველია გაიყიდება. ეს არის მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

**ვ. რცხილაძე.** კონდოლის სანერგეს უკვე შეუკვეთეს 20,500 ჯურა.

**თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი.** ეს საჭიროა, რომ შემდეგ 30 დესეტინა დაამუშაოთ, მაგრამ ასეთი მამული იშვიათია.

**ხუნდაძე.** ეს ჩვენს სურვილზეა, და თუ არ შეიძლება, მაშინ მოგვიხდება ცალ-ცალკე განხორციელება.

**ექიმი ჯანდიერი.** 30 დესეტინი ერთი კაციდან შეძენა შეუძლეს ბელია, უთ ქეზობლებმაც არ მოგვყიდეს. კახეთში სარწყავი ადგილები კი ძლიერ ცოტაა.

**ყაზახახაშვილი.** დანამდვილებით ვიცით ვინც მოგვცემს მიწას. თ-დი ანდრონიკაშვილი და სხვანი.

**თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი** ჰკითხულობს პრაქტიკული შედეგების შესახებ.

**ვ. ი. რცხილაძე.** ჯერ ჯერობით შესაძლოა 1 დესეტინა საცდელ ვენახის გაშენება. შემდეგ ვრცლად ეხება განწესრიგებულ მუშაობის გეგმას.

**დ. ე. ჩოლოყაშვილს** წინადადება შეაქვს, რადგან მუშაობას ეხლავე უნდა შევუდგეთ, ავირჩიოთ კომისია, რომელიც ამოირჩევს ადგილს, გამართავს მოლაპარაკებას და სხვა.

**ს. თ. ხუნდაძე.** ერთ დესეტინა მამულს ყველა დაგვითმობს. ეს კი საკმარისია წინასწარ მუშაობისათვის, მაშასადამე საჭიროა ერთი მუშა შავი საქმისათვის. ამ წელს გვექნება მასალა. ინსტრუქტორი ეხლავე საჭირო არ არის.

**ვ. ი. რცხილაძე.** მიწის გადაბრუნება თოვლის მოსვლამდე შეიძლება. თოვლი კი ამ 1—1 ნახ. თვის განმავლობაში მოსალოდნელია. პირველი საქმეა ადგილი ამოვარჩიოთ სკოლის მოსაწყობად. ადგილი ქალაქს დაშორებული უნდა იყოს. მიწის მოძებნა დავავალოთ კრებას, რომელიც თელავში მოხდება 18 ნოემბერსაო. დღესვე შეიძლება შევუდგეთ სკოლის, სანერგისა და მწარე ვაზის გაშენებას, შემდეგ კი ადგილი ვეძიოთ. არჩეულ იქმნა კომისია, რო-

ელშიაც შედიან: ვ. რცხილაძე, ს. ყაზახაშვილი და ს. ხუნდაძე.

**თავმჯდომარე.** რადგან აგრონომი ე. კარბელაშვილი ხვალვე უნდა წავიდეს გორის მაზრაში თესვის დასათვალიერებლად, გეგმას და ხარჯთაღრიცხვის შემუშავება გადავდოთ.

**ხუნდაძე.** მომავალ მოქმედების შესახებ ინსტრუქტორებმა მოილაპარაკონ და შეთანხმებული მოხსენება წარმოადგინონ.

ეს წინადადება მიიღეს და შემდეგ მოისმინეს აგრონომების საყვარელიძისა და კარბელაშვილის მოხსენება მათი წარსულის მოქმედების შესახებ.

კრება 11 ს. 35 წუთზე დაიხურა.

## ილიას საღამო
### ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში.

არც ქუთაისის ქართული გიმნაზია, ეს ჩვენი ეროვნული ფუძე, ჩამორჩა სხვა დაწესებულებებს ჩვენი სათაყვანო ილიას ხსოვნის პატივისცემაში; პირიქით, კიდეც გადააჭარბა მათ.

11 ნოემბერს ამ გიმნაზიაში გამართულმა ილიას საღამომ აუარებელ საზოგადოებასა და მოსწავლე ახალგაზრდობას მოუყარა თავი. გიმნაზიის ვეებერთელა დარბაზსა და დერეფანში ტევა აღარ იყო.

საღამო კარგად იყო მოწყობილი როგორც გარეგანი მხრით, ისე შინაარსით.

დარბაზი და დერეფანი მორთული იყო ვარდ-ყვავილებითა და სუროსა და ბზის ხვეულებისაგან გაკეთებული წარწერებით. რამდენსამე ადგილს კედელზე ჩამოკიდებული იყო ილიას სურათები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა სცენაზე დადგმული ილიას დიდი სურათი, ვარდ-ყვავილებითა და გვირგვინით შემკული, რომელიც, როგორც გადმოგვცეს, გიმნაზიის მოწაფის ეპიტაშვილის ქიერაა დახაზული.

საღამო შესდგებოდა სალიტერატურო, საკონცერტო და სამუსიკო განყოფილებათაგან.

აღტაცებაში მოჰყავდა საზოგადოება მოწაფეების მიერ წაკითხულ ლექსებს, უმეტეს ნაწილად ილიასას. ზოგიერთი ლექსი შესანიშნავის ხელოვნებით, დიდის გრძნობით იყო წაკითხული. განსაკუთრებით მოეწონა საზოგადოებას მეშვიდე კლასის მოწაფის დ. მებუკისა და მერვე კლასის მოწაფეების ს. გაჩეჩილაძისა და ი. ჟღენტის მიერ წაკითხული ლექსები. შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა მერვე კლასის მოწაფის ბ. მჭედლიძის მიერ პიანინოსა და ჭიანურის აკომპანიმენტით წაკითხულმა „დედაო ღვთისა“-მ და „განდეგილიდან“ ამოღებულმა ადგილმა.

მოწაფეთა მომღერალმა გუნდმა ნ. მარაბიძის ლოტბარობით შეასრულა რამდენიმე სიმღერა, რითაც ძლიერ ასიამოვნა საზოგადოებას. უკანასკნელს მოეწონა განსაკუთრებით: „ალსდეგ, გმირთ-გმირო“, „სამშობლო“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“, „ტყესა სცვივა ფოთოლი“ და სხ.

ბ. კვაჭანტირაძის ხელმძღვანელობით მოწაფეთა სიმებიანმა ორკესტრმა მოხდენილად შეასრულა ა. ასკაწელის მუსიკა „მესმის, მესმის“ და რამდენიმე სხვა ხმა.

სამწუხაროდ, საღამოს პირველ განყოფილებას ვერ დავესწარით და არ შეგვიძლია დანარჩენ მონაწილეთა შესახებ რამე ვსთქვათ.

საზოგადოდ საღამომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, რომელიც ვაშას ძახილით და განუწყვეტელის ტაშის ცემით აჯილდოებდა მონაწილეთ.

**ისარი.**

## წერილი კავკავიდან

ოთხშაბათს, 21 ნოემბერს, კავკავის ქართულ სკოლის დარბაზში გაიმართება საბავშვო სალიტერატურო სამუსიკო საღამო ჩვენი სასიქადულო მგოსნის და მამულიშვილის ილია ტრ. ჭავჭავაძის დაბადებიდან 75 წლის თავის აღსანიშნავად. საღამო შესდგება ოთხ განყოფილებისაგან: I განყოფილება—ილიას დახასიათება: II—ილიას ლექსები და სიმღერები: III—„მონადირე“, კომედია მ. მაჩაბლისა და „მალულობა“, გასართობი ვ. რუხაძისა: IV—„ქართველი დედა“, ცოცხალი სურათი, სიმღერით.

ამას წინედ კავკავის ქართულ სკოლასთან არსებულმა სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა ტრ. რამიშვილის სურათები თანამედროვე ცხოვრებიდან, „მეზობლები“. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა; ხალხი ცოტამად დაესწრო. წმინდა შემოსავალი 42 მანეთი დარჩა.

ამ თვის ბოლო რიცხვებში იგივე სცენის მოყვარეთა წრე მეორედ გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „მეგობრობა“ ნ. შიუკაშვილის 4 მოქმედებიანი დრამა.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ადგილობრივმა განყოფილების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ კავკავის ქართულ სკოლას მიეცეს ყოველწლიური დახმარება 1000 მანეთით. როგორც გავიგე, ამ შუამდგომლობას ხმოსანთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს და საქმეც სასურველად დაბოლოვდება.

თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორმა ბ-მა ბელიაევმა განკარგულება მოახდინა, სახალისო რაზმების შესადგენად გამოირჩეს სხვა და სხვა სასწავლებლებიდან მოწაფეები. კავკავის ქართულ სკოლიდან 35 მოწაფე უნდა ჩაეწეროს.

იმავე დირექტორმა დაუგზავნა პირველ-დაწყებით სკოლებს გეგმა სწავლის წინ და გათავებისას მოწაფეთა საერთო ლოცვისა. ხსენებულ დირექტორს ეს განკარგულება მოუხდენია მოწაფეთა სარწმუნოებრივ გრძნობათა აღსაზრდელად.

**ბარონ.**

## ილიასადმი

დიდსულოვანო! წამებულხარ შენის ერისთვის,
ერისთვის, რომელს მზე შვებისა ერთ დროს ბრწყინვალე,
ერთ დროს ნათელი, სხივთა მფრქვევი, სხივით ელვარე,
მზე, გარსმორკმული სიხარულის შარავანდედით,
ჩრდილოს გრიგალმან დაუბნელა შავის ღრუბლებით.
შენ იყავ ამ დროს ის რაინდი თავდადებული,
მისი ძახილი ჩაგრულ გულსა განამხნევებდა,
ვისი ნუგეშიც სასოწარკვეთილს მოაბრუნებდა
და აღუთქვავდა: „მომავალი შენი არისო!“
შენ იყავ ამ დროს სულის მეფე და ბრძანებელი,
სხვათა მსოფლიურ მეფეზედან განგებიანი—
უშრეტის გრძნობით, ტკბილის ენით კვლავ მოუბარი!
შენ იყავ ესდენ მომხიბვლელი დიდი მგოსანი,
ვისი გალობაც წმინდა ლოცვად გარდიქმნებოდის
და ჰღაღადებდის ივერია კიდით-კიდემდის.
შენ იყავ იგი, ვინც გვიკვლევდა გზასა ეკლიანს,
შენ იყავ იგი, ვის ჰანგშიაც გამოიხატა
ერის წუხილი, სიხარული თუ მისწრაფება.
შენა ჰნათობდი, ვით ლამპარი, ჩვენს საამყოდ,
შენვე დარჩები საუკუდამო ქართლის დიდებად—
მაგრამ ვით უთხრათ შთამომავალთ, ჩვენს შვილიშვილებს,
რომ უკანასკნელ სიბერის ჟამს შენს მიწა-წყალზე,
იმ შენს არაგვთან, დღეს რომ ნაღვლით ჩივის და ჰგოდებს,
ხელი ქართველისა აღიმართა შენს მოსაკლავად?..
იმ მახინჯ შვილთა, საყვარელო დიდო მოძღვარო,
იმ გარეწართა, რომელთ სახელს მე ზიზღს ვუწოდებ
და მოვუწოდებ ჩემს ობოლ ერს შურის ძიებად—
შენ რად არგუნე უკვდავება, მარადისობა?
როს გახსენებენ, ხომ იმ მკვლელთაც მოიგონებენ
და სინანულის ცრემლს დაჰღვრიან შენს სამარეზე?
ნუ თუ, მგოსანო, შენს ბრწყინვალე დიად სახელთან
თან უნდა გვდევდეს შესარცხვენად მათი სახელიც??
ო, ქართლო! ნეტა შენი ცრემლი ამ დაღს წაჰშლიდეს!...

ბერლინი **ა. შანშიაშვილი.**

## მოწერილი ამბები

**სოფელი კარდანახი.** ნოემბრის 13-ს სოფ. კარდანახის ვენახების ბოლოზე იპოვეს მოკლული გვამი აქაურ მცხოვრებელ ვანო შარმაზანაშვილისა. როგორც გამოირკვა იგი მოუკლავთ 10 ნოემბერს სამი საჟენის დაშორებით კახეთის რკინის გზის ლიანდაგის ახლოს, სადაც მუშაობდნენ კრუები. ეჭვი მიიტანეს მათზე და შეიპყრეს რამდენიმე პირი, მაგრამ დაკითხვის დროს ყველამ უარი განაცხადა „ეჭვს გარეშეა მკვლელობა მათი საქმე იყოსო განაცხადა ბოქაულმა, ვინაიდან ასე ახლოს ერთმა მაინც ვერ დაინახა მკვდარი სამის დღის განმავლობაში“—მიცვალებული დანით არის მოკლული. ჭრილობა თითქმის ოც ადგილას აქვს. იგი იყო ავადმყოფი ასე ოცდა ორის წლისა—ყველაფერს მოკლებული საცოდავი. მაშ რათ მოჰკლეს? ჯერ-ჯერობით არვინ უწყის.

**კარდანახელი.**

## ბალკანეთის ომი
### დეპეშები.
#### 17 ნოემბერი.
#### ბულგარეთის მხრით

**სოფია.** ოსმალეთის რედიფის ორი დივიზია ცხარე ბრძოლის შემდეგ ბულგარებს დაჰნებდა მერხუმლის სოფლის ახლოს დედაგაჩოს და (?) შუა.

#### სერბიის მხრით.

**ბელგრადი.** ოფიციალი ცნობით სერბიელებმა დაიჭირეს ცბრუ (?) ქალაქის მუსულმან მცხოვრებმა მორჩილება გამოაცხადა. ოსმალნი, ბიტოლთან რომ დამარცხდნენ, ჰნებდებიან სერბიელებს.

#### საბერძნეთის მხრით.

**ათინა.** ბერძნებმა ხიოსის კუნძულზე დაიჭირეს პოზიცია სან-ბარკო. ბერძნები წინ მიდიან. სალონიკში დაბრუნდა მემკვიდრე.

#### საზავო მოლაპარაკება.

**სტამბოლი.** პორტა ირწმუნება, შეთანხმება ორ-სამ დღეში იქნება მიღწეულიო. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტის სიტყვით—შეთანხმება შეუძლებელია, განსაკუთრებით ხელს უშლის ადრიანოპოლის საკითხიო. გაზეთი „ალემდარის“ სწერს: დღევანდელმა თათბირმა ნაყოფი არ გამოიღოო. დროებით ზავის თაობაზე მოლაპარაკება წინ არ მიდისო.

#### ოსმალეთი.

**სტამბოლი.** „გაერთიანების და პროგრესის“ კომიტეტის ნადეპუტატარებმა მოიწადინეს აკრაში (პალესტინა) აჯანყება მოახდინონ. ჯარმა წესიერება დაიცვა.

**სტამბოლი.** პატრიარქის დაკრძალვა 18 ნოემბრისთვის გადადეს. ხალხი საპატრიარქო ეკლესიის წინ ირევა. პატრიარქის გვამი გამოსვენებულია ეკლესიის წინ. ხალხი მის ხელის სამთხვეველად მიდის,

**სტამბოლი.** ოსმალეთი ჩილის დრედნოუტს ჰყიდულობს. ეს მესამე ბულგარელი ტყვე გამოურკვეველ მიზეზის გამო კვდება. რუსეთის კონსული არავითარ ცნობას იღებს, სიკვდილის მიზეზის თაობაზე.

#### გაზეთებიდან.
#### ჩათალჯასთან.

ჩათალჯის სამხარ ასპარეზიდან ძლიერ ნაკლები ცნობები მოდის. თითქმის ყოველ დღე ხდება წვრილი შეტაკებანი. უკანასკნელი ცნობით ბულგარელები სასტიკად ემუქრებიან დერკოსის მხრის სიმაგრეებს. მოსალოდნელია ოსმალთა ორივე ფრთის მოვლილი, რადგან ბუიუკჩექმენჯეს მხოლოდ ოსმალთა ფლოტის არტილერია ამაგრებს. ასეთივე მდგომარეობაა დერკოსის სიმაგრეებთანაც, სადაც ბულგარელებმა გაგზავნეს თვისი ნაღმოსნები, რათა ფლოტის ნაწილი იქითკენ მიეზიდათ. ასეთმა ხერხმა ნაყოფი გამოიღო: კრეისერი „ჰამიდიე“ დიდად დაზარალდა ბულგართა ნაღმებისაგან.

#### მოკავშირეთა ჯარის შეერთება.

სოფიიდან იუწყებიან: დიმოტიკა-ბაბა-ესკის რკინის გზა აღადგინეს, რაც შეძლებას მისცემს მოკავშირეთ მოკლე ხანში გადიყვანონ სერბია-საბერძნეთის ჯარი და არტილერია ბულგართა დასახმარებლად ჩათალჯის სიმაგრეებთან.

#### ადრიანოპოლის ალყა.

ადრიანოპოლში დაჭრილი სერბიელი აფიცრები ამბობენ, რომ ციხიდან ყოველ დღე გამორბიან ქრისტიანი აფიცრები, რომელთა გადმოცემით ოსმალთა შორის დიდი სენი და სიკვდილია გავრცელებული; ციხე ერთ კვირას თუ გასძლებსო.

#### დარდანელის იერიში.

სტამბოლიდან ცნობაა: 12 ნოემბერს ამბავი მოვიდა, რომ ბულგართა და ბერძენთა რაზმებმა ხმელეთიდან დარდანელის სიმაგრეებზე იერიში მიიტანეს; საბერძნეთის ფლოტმა აიღო კუნძული ხიოსი და სამოსიც საბერძნეთს შეუერთა. მთელიან საბერძნეთის ფლოტის დარდანელში შეჭრას.

#### საბერძნეთის ფლოტი ეგეის ზღვაში.

საბერძნეთის ფლოტის უფროსი ათინაში ატყობინებს: კრეისერთა ესკადრის უფროსმა შემატყობინა კუნძულ პლუმარის დაპყრობა. ადგილობრივი მოხელენი გადაყენებულია, ოსმალები დატყვევებული. მცხოვრებნი აღფრთოვანებით მიეგებნენ ბერძნების ჯარს.

#### ოსმალეთის ნაღმოსნის დაღუპვა.

საზღვაო დივიზიონის უფროსი დეპეშით იუწყება: ნაღმოსანი № 14 არგულიუსის უფროსობით ჰაი-ვალის ნავთსადგურში შევიდა და ოსმალეთის ნაღმოსანს შეებრძოლა. როდესაც ჩვენი ნაღმოსანი შეამჩნიეს, ოსმალებმა სათოფურები (ლიუკ) გააღეს წყალ-ქვეშ ნაწილში. ჩვენმა მატროსებმა ველარ მოასწრეს სათოფურების დახურვა და ოსმალთა ნაღმოსანი ნელნელა ჩაიძირა. ჰფიქრობენ, რომ დაღუპული ნაღმოსანი „ზეფირის“ სახელით იყო ოსმალთა ფლოტის სიაში აღნიშნულიო.

#### დაწვრილებითი ცნობა ქ. ფლორინის აღების შესახებ.

ბრძოლა დაიწყო 6 ნოემბერს დაბა ბერდინის ახლოს, სადაც 20.000 ოსმალო იდგა. ოსმალთა ცენტრი რიცხვით 12,000 კაცი, სამი საათის ბრძოლის შემდეგ უკუიქცა. ოსმალებს 800 მოუკლეს, დაჭრილთა რაოდენობა გამოურკვეველია. ბერძენთა მეორე რაზმი ქ. გორნიცევთან შეხვდა ოსმალებს, რომელნიც პირველ სროლისთანავე გაიქცნენ, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, რის შემდეგაც ბერძენთა შეერთებული რაზმი ქ. ფლორინს მივიდა. რკინის გზის სადგურზე ბერძნებმა ნახეს სურსათით დატვირთული 150 ვაგონი.

#### ქ. ოხრიდის აღება.

ბელგრადიდან იუწყებიან: სერბიის ჯარმა უბრძოლველად დაიკავა ქ. ოხრიდა (ალბანეთის შუა გულშია).

## ბალკანეთი და ევროპა
### დეპეშები

**ბალონა.** კრებაზე, იზმაილ-ქემალბეის თავმჯდომარეობით, ალბანელებმა ალბანეთის დამოუკიდებლობა აღიარეს.

**ბერლინი.** გარეშე საქმეთა სამინისტრო ადასტურებს ცნობას, ინგლისი წინადადებას აძლევს ევროპას იმის მაგივრად რომ კაბინეთებს შორის ხდებოდეს აზრთა გაზიარება, კარგი იქნებოდა ელჩთა კონფერენცია მოხდეს, სადაც ყოველივე მუხლი ბალკანეთის საკითხისა განხილული იქნება. ამით ინგლისს სწადიან დააჩქაროს მოლაპარაკების შედეგი.

**ბელგრადი.** ელჩი პროხასკა სრულიად ჯანსაღად არის, და უსკიუბში იმყოფება.

**ვენა.** სამხრეთ-სლავიანთა სტუდენტებმა გამართეს კრება ბალკანეთის ამბების გამო. პოლიციამ კრება დაშალა. გაზეთების უმეტესი ნაწილი დიდ მნიშვნელობას აწერს სამობლიზაციო კანონ-პროექტებს. ბერტჰოლდმა ინახულა ეგვიპტის პრინცი ახმედ-ფუადა.

**ბუდაპეშტი.** ზაგრებიდან მოვიდნენ კონფერენციაზე სერბიის და ხორვატიის კოალიციის წევრნი. ზაგრებში კონფერენცია ვერ მოხდა. ორატორები ჰკიცხავდნენ ავსტრია-ჰუნგრეთის პოლიტიკას.

**ვენა.** „ნეი-ფრეი-პრესე“ სწერს: სამობლიზაციო კანონ-პროექტს და გეტცენდორფის მოგზაურობას დემონსტრატიული ხასიათი აქვსო. „ცეიტის“ აზრით კი ომის შიშმა გაიარა და სამობლიზაციო კანონები შესწორებას თხოულობენ კანონების დებულებათა შეცდომებისას.

**რომი.** ჯიოლიტის განკარგულებით ვენეციის კვესტარი სამსახურიდან დათხოვნილია. მიზეზი დემონსტრაციაა, ავსტრიის საელჩოს წინ რომ მოხდა. დანიშნულია გამოძიება.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. სამხედრო მინისტრმა შეკითხვას უპასუხა; 1 ოქტომბრიდან მოწყობილია 114 საპულემიოტო როტა.

#### გაზეთებიდან.
#### დროებითი ზავი.

სტამბოლიდან იუწყებიან: გაზ. „ლემდარ“ სწერს: გამოცხადდა დროებითი ზავი შვიდი დღის ვადით. მეომართა ჯარი იმ პოზიციებზე დარჩება, რომელიც დღემდე ეჭირათ. მიუხედავად ამისა, მთავრობის წრეებში ამბობენ, რომ მთავრსარდალთა მიწერ-მოწერამ შეთანხმება ვერ გამოიწვიაო. ნაზიმ-ფაშა მოითხოვდა ბულგართა უკან დახევას ქ. კირკილესამდე, სავოვი კი ჩათალჯის სიმაგრეების დათმობას.

#### სახელმწიფოების რჩევა.

იქიდანვე იტყობინებიან: ოსმალეთის მთავრობამ სახელმწიფოებს სთხოვა, ჩაერიეთ მოლაპარაკებაში, რათა ბულგარეთმა შეამციროს თვისი მოთხოვნილებანიო. სამთა შეთანხმების სახელმწიფოებმა (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი) უარი სთქვეს ასეთ თხოვნას ვერ გადავსცემთ ბალკანეთის კავშირსო; ამასთანავე ხსენებულ სახელმწიფოთა ელჩებმა ურჩიეს ნოსადუნგიან-ეფენდის, ახლავე ჩამოაგდოს ზავი, თორემ ჩათალჯის აღების შემდეგ ოსმალეთი იძულებული იქნება მეტად მძიმე პირობებს დასთანხმდესო.

#### გერმანიის წინადადება.

სტამბოლიდან იუწყებიან: დიდი ვეზირი ქიამილ ფაშა დაჟინებით ამტკიცებს ზავის ჩამოგდების საჭიროებას, რათა სტამბოლი მაინც გადაარჩინოს. გუშინ მან ინახულა ინგლისის ელჩი და არწმუნებდა: ჩაერიეთ ჩვენ სასარგებლოდ საშვიდობო მოლაპარაკებაში, რადგან გერმანია სერიოზულ წინადადებას აძლევს ბერლინში ჩვენს ელჩსო. ეს წინადადება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გერმანიაში მყოფი ოსმალეთის ელჩი ოსმან-ნიზამ-ფაშა სტამბოლს დაიბარეს. გერმანია აცხადებს, რომ იგი მზად არის ყოველი მხრით დაეხმაროს ოსმალეთს, სამხედრო სურსათიდან დაწყებული აფიცრებამდე და უნტერ-აფიცრებამდე. ნაცვლად ამისა ოსმალეთმა პირობა უნდა მისცეს, რომ ანატოლიაში რკინის გზების გაყვანის უფლებას გერმანიის გარდა არავის მისცემს.

#### საზღვაო დემონსტრაცია.

გაზ. „ცეიტი“ სწერს: „ომის ატეხის შიში, რომელმაც წინა კვირაში უმწვერვალეს წერტილს მიაღწია, თან და თან ნელდება. გერმანიამ მეგობრულად ანიშნა პეტერბურგსა და ბელგრადში, თუ რა საბედისწერო შედეგი მოჰყვება რუსეთ-სერბიის დღევანდელ პოლიტიკას. შესაძლებელია, ავსტრიამ საზღვაო ან სხვანაირ სამხარ დემონსტრაციას მიმართოს, „მაგრამ ომის ატეხა კი არ უნდა მოხდესო“.

#### გერმანია ემზადება.

ბერლინიდან იტყობინებიან: გერმანიის სათადარიგო აფიცრებს ებრძანათ, მზად იყვნენ მობლიზაციისთვის და კვირაში სამჯერ გამოცხადდნენ ხოლმე დანიშნულ ადგილს პრაქტიკული ვარჯიშობისათვის. პოზნანში (რუსეთის საზღვარზე) სამხედრო სამზადისია. „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება: მიუხედავად უარყოფისა, ნამდვილ სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, რომ კენიგსბერგისა და ალენშტაის კორპუსებს საიდუმლოდ ამზადებენ. რკინის გზის სადგურების უფროსებმა მოწერილობა მიიღეს, რათა ვაგონები უპირველესად ყოვლისა სამხედრო საჭიროებისათვის იქონიონ. ასეთმა განკარგულებამ უკვე შეამცირა რუსის ქვანახშირის გადაზიდვა.

#### გერმანული ჯარის ალღუმი რუსეთის საზღვარზე.

ვარშავიდან „რუსკოე სლოვოს“ ატყობინებენ: სასნოვიციდან ცნობაა, რომ ზედ ჩვენს საზღვარზე გერმანიის ჯარმა საარტილერიო ალღუმი გამართა. ზარბაზნის სროლისაგან ფანჯრის მინებს ზანზარი გააქვს.

#### საფრანგეთიც სამზადისშია.

„ფოხიშე ცეიტუნგს“ პარიზიდან ატყობინებენ: საფრანგეთი გამალებით ემზადება მობილიზაციისთვის. გერმანიის მოსაზღვრე ჯარი გააძლიერეს, ბანკებს ებრძანათ შეაჩერონ ქაღალდების ოქროთი განაღდება. გაზ. „მატენის“ ბელგრადელი კორესპონდენტი სწერს: „მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ სერბიას დიდი იმედი აქვს რუსეთის მიერ აღთქმულ დახმარებისა. ძლიერ საშიშია მის დატოვება ოცნების ამარა. საჭიროა მას უთხრან ან „ჰო“ ან „არა“, ეს მოვალეობაა არა თუ მხოლოდ რუსეთისა, არამედ საფრანგეთისაც“.

#### რუსეთი და ავსტრია.

„რუსკოე სლოვოს“ პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: მე მაქვს ნამდვილი ცნობები, რომ ს. საზონოვი სრულიად უსაფუძვლოდ სთვლის იმ ხმებს, რომელნიც უცხოეთის პრესამ გაავრცელა ავსტრია-რუსეთის დამოკიდებულებათა გაცუდების შესახებ. ტყუილია ავსტრიის პრესის მტკიცებაც, თითქოს რუსეთი აქეზებდეს სერბიას ავსტრიის წინააღმდეგ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რუსეთმა მეგობრულად ურჩევა მისცა სერბიას: ნუ წამოაყენებ მეტად ფართო მოთხოვნილებებს, რათა რუსეთმა შესძლოს მათი სავსებით დაცვაო.

## უცხოეთი
#### როშფორის ციხეში მომხდარი საშინელება.

დეპეშამ უკვე გვამცნო, თუ რა საშინელება დატრიალდა როშფორის ციხეში. პარიზის გაზეთები ამ ამბის დაწვრილებითი ცნობებს გვაწვდის.

6 ნოემბერს $4^1/_2$ საათზე ციხის უფროსმა მეთვალყურემ არბინარმა ტუსაღებს საჭმელი მიუტანა. ამდროს, ერთი ტუსაღი, ყოფილი მეზღვაური დრაგონე მივარდა არბინარს, გამოსტაცა რევოლვერი და დანით ყელი გამოსჭრა. მოკლულის ცოლი საშინელის ყვირილით გაექანა ქმრისკენ, მაგრამ იმასაც ის ხვედრი ხვდა. გამხეცებულმა ტუსაღმა ყელი გამოაღადრა ცოლსაც. მეორე ტუსაღი შეეცადა დაეჭირა დრაგონე, მაგრამ რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიიღო. ამის შემდეგ დრაგონემ დაავლო ხელი ცულს და თავი მოჰკვეთა მეორე მეთვალყურეს, რომელიც გამოეკიდა. დრაგნემ დასჭრა მძიმედ ერთი ოფიცერი და ციხის უფროსსაც მივარდა, მაგრამ ეს ძლივს გაუსხლტა ხელიდან გამძვინვარებულ ტუსაღს. დრაგონეს შეუერთდნენ სხვა ტუსაღებიც და გასავალ კარებისკენ გაექანნენ. ციხის უფროსი რევოლვერით ხელში კარებს უკან იყო ჩასაფრებული. დრაგონე და ზოგიერთი ტუსაღი მიუახლოვდნენ გასავალ კარებს, მაგრამ ამ დროს ციხის უფროსმა ორჯერ დასცალა რევოლვერი. ტყვიით განგმირული დრაგონე იქვე დაეცა, მოკლული იყო ერთი ტუსაღიც. დანარჩენი ტუსაღები თავიანთ ოთახებში მიიმალნენ. მხოლოდ ერთმა გააღწია თავი ციხეს.

## შემოწირულობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) ქართულ გიმნაზიის 1 კლასის მოწაფემ ნიკოლოზ ჯავახიშვილმა—ცხრა შავი ფული.

2) **ეგნატე ონისიმეს ძემ იოსელიანმა**—თორმეტი დოკუმენტი.

3) **ემინ-ეფენდი შარაშ ძემ** (აჭარიდან)—ქისა აბრეშუმისა ოქრომკედ ნარევი.

4) **ანნა შანშეს ასულმა წერეთლისამ**—ორმოცი საბუთი.

5) მღვ. ნიკოლოზ ნაკაიძემ—ხუცურად ნაბეჭდი სახარება.

6) **ბ-ნმა ნერსეს სანტრუსოვმა**: ა) დერციკის ნახევარ ადლი ურთხლისა, ბ) დერციკის მაკრატელი, გ) დერციკისვე სათითე და დ) მაყაში.

7) **თავადმა გიორგი ყარალაშვილმა**: ა) მხედრული ხელნაწერი წიგნი ლურჯ ქაღალდზე—„თიმსარიანი“ (თავი აკლია) და მოკლედ სიტყვის გება სოკრატისა და თქმულებანი სხვა ძველთა ფილოსოფოსთა“ და მხედრული ხელნაწერივე „მილორდიანი“ (თავი და ბოლო აკლია).

8) **ივანე სვიმონის ძემ ბაქრაძემ**—შვიდი დიდი, ხუთი პატარა ფული ვერცხლისა (ეს ფულები გადმოსცა საზოგადოებას აკაკი როსტომის ძემ წერეთელმა).

9) **თავადმა სულხან ჭავჭავაძემ**—„დეზიდერია ანუ გზა სიყვარულისა მიმართ ღმერთისა“, მხედრული ხელნაწერი (თარგმნილი რუსულით გიორგი ავალიშვილის მიერ).

10) **თინათინ გიორგის ასულმა ფორაქიშვილისამ**: ა) ბრინჯაოს ხანჯალი და ბრინჯაოს პირი შუბისა, ნაპოვნი სოფელ კარდანახში საფლავში და ბ) საკიდელი ქვაბისა.

11) **ზაალ ივანეს ძემ ტერიაშვილმა**: ა) ოთხი სპარსული დაბეჭდილი წიგნი: როსტომიანი, ისკანდერნამი და ორი წიგნი ბაბიდებას სექტას შესახებ და ბ) ორი ყალიონი.

12) ქართულ გიმნაზიის მოწაფემ **გრიგოლ დიდებული ძემ** ვერცხლის ფული ბუხარული.

13) ს. რუისის მცხოვრებმა **დავით ჩიქოვანმა**—ვერცხლის ფული ირაკლი მე-II-სა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

## დეპეშები
(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)
### საზღვარ-გარედ
#### 17 ნოემბერი.

**ვენსენი.** ჯარის-კაცების ვარჯიშობის დროს შემთხვევით მოკლულ

იქმნა ორი ჯარის-კაცი. ერთი მძიმედ დაიჭრა.

**ხანკოუ.** დაარსდა მონღოლიის მფარველი საზოგადოება. საზოგადოებას აზრად აქვს ბოიკოტი გამოუცხადოს რუსეთის საქონელს, თუ რუსეთ-მონღოლეთის ხელშეკრულება ძალაში შევა.

**არდებილი.** შახსევანის მოთავეებმა ფიცი მიიღეს ელჩ ბელიაევის და მწერალ ფიდაროვის წინაშე მორჩილნი იყვნენ სპარსეთის მთავრობისა და ხელი აიღონ ცარცვა-გლეჯაზე და ყაჩაღობაზე.

## მცირე განმარტება

სახალხო სახლთან არსებულ რუსულ დრამატიულ სექციის თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი ოსიპოვი ამბობს, თითქოს გაზეთში ცნობა იმის შესახებ, რომ მე თეატრში უკანონოდ მომექცნენ, მართალი არ არის; თითქოს მე გავჯავრებულვარ მხოლოდ იმიტომ, რომ ბილეთი გაყიდული აღმოჩნდა. ამბობს კიდევ, თითქოს მე მორიგ წევრისთვის არ მიმემართნოს. ყველა ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მე მიველი სახალხო სახლში სექციის წარმოდგენაზე. მერამდენედაც უნდა მიდიოდეს წარმოდგენა, რახან იგი სექციისაა, ნება არავისა აქვს წამართვას უფლება, რომელიც ქალაქის გამგეობისაგანა მაქვს ბოძებული. მე არც ვიცოდი და არც მოვალე ვიყავ მცოდნოდა, რომ სექციას გამოუტანია რაღაც დადგენილება, რომელიც მიღებულ წესებს ეწინააღმდეგება და რომელიც ჩემს უფლებასა ჰზღუდავს. გარდა ამისა, მას შემდეგ, როდესაც იძულებული გავხდი თეატრისთვის თავი დამენებებინა, მე სწორედ ისე მოვიქეცი, როგორც ბ-ნი ოსიპოვი მირჩევს: ვსთხოვე კარებში მდგომს მორიგი წევრი ეჩვენებინათ. მაჩვენეს. იმან მითხრა: ნება არა გაქვთ დაესწროთ დღევანდელ წარმოდგენას, რადგანაც იგი მეოთხედ იდისო.

ამის შემდეგ, მით უფრო, რომ იგი ძალიან უზრდელად მელაპარაკებოდა, მე ისღა დამრჩენოდა, რომ ბილეთი პატრონისთვის დამებრუნებინა. ასეც მოვიქეცი. ბილეთი გადავეცი ბ-ნ ჩუბინაშვილს, რომელიც, უეჭველია, თუ საჭირო იქნება დაამოწმებს ყველა ამას: დაამოწმებს რომ მე იძულებული გავხდი თეატრიდან გამოვსულიყავ სწორედ ფარდის ახდის წინ, დაამოწმებს, რომ მე ველაპარაკებოდი მორიგ წევრს, დაამოწმებს იმასაც, რომ თითონ ბ-ნმა ჩუბინაშვილმა მიჰმართა მორიგს წევრს და უთხრა, მართლა მოუხერხებელია, რახან შეუშვით და წინდაწინვე არ გააფრთხილეთ, არც ასე უნდა მოჰქცეულიყავითო.

ბ-ნი ოსიპოვი, სხვათა შორის, სწერს, „სახალხო გაზეთი“-ს თანამშრომელთან მომხდარი შემთხვევა ქალაქის გამგეობის კომისიამ განიხილა და გამოირკვა, რომ აქ უბრალო გაუგებრობა იყოვო. არ ვიცით, რანაირად შეიძლებოდა ამის გამორკვევა, როდესაც „სახალხო გაზეთი“-ს წარმომადგენლისთვის, როგორც ერთს დაინტერესებულ მხარესთვის, კომისიას არაფერი გამოუკითხავს და მისი განცხადება არ მოუსმენია? ერთი დაინტერესებული მხარის გამოკითხვა საკითხს ვერასოდეს ვერ გამოარკვევდა.

„სახალხო გაზეთი“-ს გამგე

**არ. ჯაჯანაშვილი.**

P. S. ვსთხოვ „ზაკავკაზიე“-ს სადაც ბ-ნ ოსიპოვის წერილი დაიბეჭდა, ეს განმარტებაც დაჰბეჭდოს.

ა. ჯ.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს, კვირას 18 ნოემბერს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასი იმეორებს ნიკ. შიუკაშვილის **„მთის ზღაპარს“** წარმოდგენილი იქნება აგრეთვე დ. კლდიაშვილის ცნობილი 1 მოქმედებიანი კომედია **„დარისპანის გასაჭირი“** დარისპანის როლს ასრულებს ვ. შალიკაშვილი.

**ქუთაისი.** კვირას, 11 ნოემბერს, ადგილობრივმა ქართველმა დასმა წარმოადგინა გ. მუძლაძის მიერ პოლონურიდან ნათარგმნი ორ-მოქმედებიანი დრამა „სისხლის ლაქა“ და ქ. ნის აზიანის ორ-მოქმედებიანი კომედია „გაცრუებული იმედი“. დრამის წარმოდგენას, სამწუხაროდ, ვერ დავესწარით, სამაგიეროდ დიდად ნასიამოვნები დავრჩით „გაცრუებული იმედი“-ს წარმოდგენით. ეს მეტად მხიარული, შინაარსიანი კომედია შესანიშნავის ანსამბლით ითამაშეს ჩვენმა მსახიობებმა. არ გვეგონა, თუ ნ. გვარაძე ისე მშვენივრად შეასრულებდა სტეფან ივანიჩის როლს, როგორიც ამ საღამოს იყო. ძლიერ მოეწონა საზოგადოებას შ. ხონელის თამაში გაბოს როლში. გ. არაბული-იმხნელი (გიგო) ჩვეულებრივ ხიბლავდა საზოგადოებას თავისი ბუნებრივი თამაშით. კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა ე. ამირეჯიბის ა-ულიც სონას როლში. წარმოდგენით კმაყოფილი, გახიარულებული საზოგადოება გულით იცინოდა, მაგრამ მცირე შემოსავლით უკმაყოფილო დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრები ძლიერ მოწყენილი ისხდენ. წარმოდგენას საზოგადოება ძლიერ ცოტა დაესწრო, რაც უთუოდ იმით აიხსნება, რომ ამ საღამოს ქუთაისის საზოგადოებისა და მოსწავლე ახალგაზდობის დიდი ნაწილი ქართულ გიმნაზიაში გამართულ ილიას საღამოზე იყო მიწვეული.

**ისარა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა (ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** № № 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, ღღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9/10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვ-დან სურამში: სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს 48 წ. **სახ.** 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ**, 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 II, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 II, ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 2—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევანისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

### გემების მიმოსვლა (ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს. 58 წ.
№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ. **ენზელს** პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას**, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-თხიძოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## განცხადებანი


### რწმუნებული

ქვემოაღნიშნულ საქმეებისა 1) საგლეხო და ყოველნაირ მიწის საკითხისა, 2) იბლეებისა და მემკვიდრეობის უფლების აღდგენისა, 3) თევზის მრეწველობისა და თევზის მოშენებისა კავკასიაში და მთავრობის სესხისა თუ სუბსიდიების გამოთხოვნა სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის სხვა და სხვა საჭიროებისათვის: ადმინისტრატიული საქმეები, საგანგებოდ შემუშავება ყოველგვარ შუამდგომლობისა, სამთო-სამრეწველო განცხადებით ნავთისა და ქვანახშირის ადგილების დათმობისა.

განსაკუთრებული საქმის წარმოება გართულებულ და გახლართულ ყოველგვარ საქმეებისა, დაწვრილებითი გარკვევა მათი და პირადი წარმოება საქმისა როგორც კავკასიის ყველა დაწესებულებაში, ისე უმაღლეს დაწესებულებებში პეტერბურგს.

აქვე სჭირდებათ შრომისათვის 0/0 ენერგიული და გამრჯელი თანამშრომელნი.

მიღება ყოველდღე დილის 8—9 საათ. და საღ. 5—9 ს. კვირა-უქმე დღეს—დილ. 9—3 საათამდე.

ტფილისი, სოლოლაკი ნოვობებუთოვის ქუჩა № 5. ბინა № 2. 805.

დიდიხნის გამოცდილი მკერავი ქალი

**ვღებულობ საკერავს**

**ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს.** საქმეს ვაბარებ სუფთად, საჩქაროდ ძრიელ ნაკლებ ფასად აგრეთვე **ვუყვან შეგირდებს**, ვასწავლი მორიგების დაგვარად. **მისამართი** ჭავჭავაძის ქუჩა № 12 **ხომასურიძე.** 1603.

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა.**

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვისა ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამე ... იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ქოახლეებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს. ... მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი. 1037.

**სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

**გადავიდა ახალ ბინაზე**

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

**ავადმყოფებს იღებენ:**

**ალაჯანოვი მიხ.**—საშარდე ორგანოთა, ათაშახგისა და კანის სნეულებისა—ნაშუადღ. 12—1 ს.

**ვნუკოვი მ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპატია დილ. 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სთ.

**შამაში ი. ი.**—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

**ავილოვაა ა. ა.**—კბილის ავადმყ. $9^1/_2$—$11^1/_2$ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

**წამლობა „606“-ით და 914.** 1513.

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1078 დოქტორი ბ. ა. ნ ვასარდიანი.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ. № 6.

**გამართვა ქარხნებისა:**

**წისქვილებისა, ხეტყის სახერხ** ქარხნებისა, ხელოვნურ **ყინულის დასამზადებელ** მოწყობილებისა, **მატყლის საჩეჩ** და **სართავ** ქარხნებისა **ნავთისა და ორთქლით ამმოძრავებელ მანქანებით**, როგორც ახალის ისე ნახმარებით. **სიმინდის საცეხვ** მანქანების დაბარება, **ავტომობილებისა, ნავებისა** და სხვა. ტფილ. ელისაბედ. ქ № 94, ბინის ნომერ. 10

671. **გ. ი. პოჩევცოვი.**

**ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი**

თვით-მასწავლებელი 128 ... ახალი მეთოდი ... ქართული, იმერული, ევროპიული ... ქალებისა და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. 3121

**გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გ ა მ ც ე მ ი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება

**არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი**

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა“ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ 65 კ.
IV „ წერილები „(ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. 85 კ.

ინჟენერი **ი. ს. პონდოევი** ტფილისი. ელისაბედის ქ., 164. ბაქოს ქ. კუთხე.

**ცემენტი** ასფალტი, უდროვი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклепки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

რკინის კოჭები, საქვაბე რკინები, საკუთხე რკინები; სახურავების რკინები. (შავი და ცინკნარევი).

ტელეფონი: კანტორისა 10—93 აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე 1474

**კვირას, 18 ნოემბერს, იხსნება**

**გ ა მ ო ფ ე ნ ა**

**ნ. კაფიევისა და მ. კანანოვის ფოტოგრაფიულ ნამუშავრისა**, აბსოლვენტები, **მიუნხენის უმაღლეს საფოტოგრაფიო სკოლისა** პეტრე დიდის ქუჩაზე № 16 (улица Петра Великаго № 16)

გამოფენა ოთხ დღეს გაგრძელდება, 21 ნოემბრამდე, დილის 11—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. **შესვლა უფასოა.** გამოფენის დასრულების შემდეგ, 22 ნოემბერს, იქვე დაიწყებს მუშაობას მიუნხენის სკოლის სახელოსნო (ატელიე). 804

**იმერული შამპანიური ღ ვ ი ნ ო ე ბ ი, ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში, „კ ო ლ ხ ი დ ა“ და „თ ა მ ა რ ა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 660

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

**ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა,**

თევზის მრეწველნი **ძმ. ძებველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის **სელიოტკები,** და ყოველგვარი **კ ო ნ ს ე რ ვ ე ბ ი.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

✦ **შ ა ვ ი ხ ი ზ ი ლ ა ლ ა** ✦

**ძმ. საფარიანცი და ტერ-საკოვი**

**პარიზული მაღაზია**

გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

მაღაზიასთან არსებულ

**სამაგალითო სახელოსნოში განაზღდა შესაკვეთის მიღება**

რუსეთისა და საზღვარგარეთის ქარხნების

საუკეთესო მასალებისა.

ათვისუფალი არჩევანი შეკვეთილ სამუშაოსი, როგორც

**კაცებისა აგრეთვე ქალების მოდელებისა.**

სრულის პატივისცემით

**ძმ. საფარიანცი და ტერ-საკოვი.**

ტელეფონი **№ 258.** 1525


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.